

გეგმვა № 205



აგვისტო, 1933 წ. № 16

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება საერთოდ არადაამაყყოფილ ებღოდ მიმდინარეობს (საჯ. კ. ბ. ტ. კ. კ. საჯ. კომ. და მუშგლეხინის სახკომატის კოლ. დადგენილებიდან)

ფასი 40 კაპ.



— რა ნელი ტემპით მიგვაცურებს ეს მენავე... — გაჩუმდი ტემპს ნუ მომაგონებ სწორედ მაგ ნელი ტემპების გამო, რომელიც მე გამოვიჩინე სასკოლო მშენებლობაში. მომხსნეს საპასუხისმგებლო თანამდებობიდან.



ნახ. ქოქიაშვილის

„იყო ერთი შემთხვევა, როცა რაიონის ერთერთი მოხელემა სკოლის შენობაში დაბინავდა და სამკათხველო სამზარეულოდ გაიხადა“. (მუშელებინის მასალებიდან).



— რას გავს ეს ამხანაგო? თურმე სკოლა და სამკათხველო შეუკეთებელია და შიგ თხები ნავარდობენ.
— როგორ! თხა ვართ შე და ჩე მი ცოლო? შე შენ გიჩვენებ ხერხს!

მუშეობით, ჩემო პარტებო!

— სიბიტო მცოდნე კაცია, მის ყველაფერი გაეგება ავიც და კარგიცო, — სთქვა სოფელმა და სიბიტოც თემალმასკომის თავმჯდომარედ აირჩია.

აჩქევით კი აირჩიეს სიბიტო, მაგრამ თვითონ სიბიტომ არ აირჩია იმ გზით სიარული და საქმის წაყვანა, როგორც ამას მოითხოვდა დრო, პირობები და ამჩქეველ მშრომელთა ინტერესები.

ჯერ იყო და კოოპერატივის დაუწყო მადიანად ყურება. დღე ერთი იყო, სიბიტო თავმჯდომარისაგან სხვადასხვა მოთხოვნით ათი უსტარა მანც მოსდრიოდა კოოპერატივის გამგეს.

დაიბარეს სიბიტო — თავმჯდომარე. უჩვენეს მისივე ხელით ნაწერი და მიუთითეს: „ასეთები აღარ გაიმეორა“.

სკოლა იყო და იდგა თავისთვის ფრთებ — ჩამოყრილი ბატკით: კარი მას არ გაჩნდა, ფანჯარა, კიბე და ბუხარი. მოსწავლეთა პარ-

ტები ზოგი სად უყარა და ზოგი სად. ორი ერთი მეორეზე მიმდგარი პარტისაგან პანტის ჩრდილში სიბიტო-თავმჯდომარეს ყასიდათ მოწყობილი საზაფხულო საძილ — სასუნებელი მოეგვარებინა და მთელი ზაფხული ისე ხვრინავდა ზედ, რომ კაცს შური დაეადნობდა.

მაგრამ თქვენი მტერი და ორგული დამდნარიც ისე, როგორც ეს ზაფხული ხელიდან გაუდნა სიბიტო-თავმჯდომარეს და სექტემბრის სიგრილეებმა რომ შემოკვრა, ალყა შემოკვრეს ჩვენ სიბიტო-თავრეს, ყასიდი სკამ — ლოგინოდან ზედ წამოაგდეს და მოთხოვნები მოთხოვნე მზე წამოუყენეს.

წამოდგომით კი წამოიდა სიბიტო-თავმჯდომარე, მაგრამ პასუხის გასაცემად კი ყელში გაწყვეტილი ნერწყვი ხელს სრულიად არ უწყობდა.

— ეს პარტები რომ გაგიგდია, შე კაი კაცო, ქვეშ და ზედ გაშობილხა, სტირტლადის მიცვალებულივით, რავე, სექტემბერში რომ მოწაფეები მოიყრიან თავს, იმათ რა პასუხს აძლევო, — წამოიწყო გულის გამცე-

თი ირონიით ინსპექციის რწმუნებულმა.

მაგრამ სიბიტომ არა თუ მოწაფეებისთვის, თავს ასე ყასიდათ წამოიდა კომისიისთვის პასუხის მისაცემოდ კი არაფერი ებადა. ჯერ ერთი, მარტო ოთხი თვის მასწავლებლათა მიუტყემელი ჯამაგირი ედო უისერზე.

სიბიტო — თავმჯდომარემ მხრების აჩქ-დაჩქრა ძლივს მოასწრო, რომ კომისიამ უკვ თავისი დასკვნა გამოიტანა: „სამოსწავლო წლის დასაწყისის სრული ჩამოსათვის“...

მაგრამ დანარჩენი უკვე საინტერესო აღარაა. მხოლოდ როცა სიბიტო-თავმჯდომარე თავის „შეჩვეულ ჭირსავით“ შეთვინებულ თავმჯდომარეობას ეთხოვებოდა. მაგრამ ამაზე არა ნაკლებად ის აწუხებდა რომ პანტა ვაშლის ძირში მოწაფეთა პარტებისაგან ყასიდათ მოგვარებული ლოგინი დაუხვრიეს და გულში ნაღვლიანად ამობდა:

— მუშეობით ჩემო პარტებო...
ოღისიმა.



მღვდლის ჯორის გაქურდვა

ლევარსის სოფლის მღვდელს თავისთავზე უფრო ჭკვიანი ჯორი ჰყავდა.

გაავსებდა ხუცესი ხურჯინს ქელეხში, აჰკიდებდა ხურჯზე ჯორს და სახლისკენ გაისტუმრებდა. თითონ კი ქელესს განაგრძობდა. ჯორი პირდაპირ სახლში მივიდოდა და ფოფოდიას ძღვენს მიუტანდა.

ერთხელ ლევარსი გზის პირას ყანას მარგლავედა. ძალზე მოშივებული იყო. სწორედ ამ დროს ჩამოიარა მღვდლის ჯორმა, რომელსაც ხურჯზე სავსე ხურჯინი ეკიდა.

ლევარსიმ დაიჭირა ჯორი, ამოალაგა ხურჯინიდან საქმელ - სასნელი, ხურჯინი ბალახ - ბუღახით გაავსო, ისევ აჰკიდა ჯორს და გაისტუმრა.

ჯორის გაქურდვა მთელმა სოფელმა გაიგო. მღვდელმა კეირა დღეს წირვის დაწყებამდე ეკლესიაში მორწმუნეებს გამოჰკითხა. ბოქალუმა პოლიციელიც კი გამოგზავნა სოფელში ქურდის დასაჭერად, მაგრამ ქურდი ვერ ნახეს.

ეჭვი ლევარსიზე მიიჭანეს, მაგრამ ლევარსიმაც ცივი უარი დაარტყა.

საქმე იქამდე გართულდა, რომ შემხრეულ პირებს ხატზე დაფიცება მოსთხოვეს.

მეორე კვირას ლევარსის საჯაროდ უნდა დაეფიცა ხატზე, რომ მას არ გაუქურდავს მღვდლის ჯორი.

სოფელითებმა იცოდნენ, რომ ეს საქმე ლევარსიმ ჩაიდინა, მაგრამ საიღუმლოებას ინახავდნენ.

— აბა ასლა რას იზამ ლევარსი? ტყუილს ხომ ვერ დაიფიცავ ხატზე? — ეუბნებოდნენ ლევარსის, რომ მელსაც მასინ ღმერთი და ხატი უფრო მეტად სწამდა, ვიდრე თითონ მღვდელს.

და მათ გაეკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ლევარსიმ საჯაროდ დაიფიცა ხატზე:

— ვფიცავ ამ წმინდა ხატზე, რომ მე ქურდობა არ ჩამიდენია მას შემდეგ, რაც აკენიდან გადმოვედი. თუ მე ამას ვტყუოდე, გამიწყრეს

ღმერთი და უკუტმა წავიდეს ჩემი ცხოვრება.

ამ ფიცის შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ლევარსი არ იყო მღვდლის ჯორის გამქურდავი.


— როგორ გაბედე, ლევარსი, და ტყუილი დაიფიცე ხატზე? — ეკითხებოდნენ ისინი, რომლებმაც იცოდნენ ამ ქურდობის ამბავი.

— ტყუილად არ დამიფიცავს ხატზე, მართალი ვთქვი.

— როგორ თუ მართალი. რომ დაიფიცე — ქურდობა არ მიქნია რაც აკენიდან გადმოვედიო, განა ეს ტყუილი არ არის?!

— არ არის ტყუილი. წახტელის აკენში ვიძინე, ამ დილით გადმოვედი აკენიდან და ამ დილის შემდეგ არც ქურდობა ჩამიდენია.

მართლაც, ლევარსიმ თურმე დაფიცების წინა ღამით აკენში იძინა, რომ მეორე დღეს შეძლებოდა ხატზე დაფიცება.



ნიანგკორის გააბასება

ძირულის თემსაზოც თავაჯღომარე ჯაფთა

ნიანგკორი — ამხ. ჯაში, თქვენ შესახებ ჩვენს რედაქციას ბევრი წერილები მოდის, ზოგი შეიძლება კერძო ინტერესით იწერება, ზოგიც გახეიადებულია, მაგრამ ბევრი მათგანი უდავო ქეშნარობასაც შეიცავს და რომ სიშარბელ ადვადგინოთ, თითონ აღიარებენ უნდობლებს. დაეწყეთ „წერილებიანი“ თქვენზე ამბობენ — უხეზია მუშებს და გლეხებს სულ დედას აგინებს და ხელოსნულებას სახელს უტყვის; გეკითხებით ნიანგის სახელით, მართალია თუ არა ეს?

ჯაში, ცილის წამებაა. მე დედა შევაგონე მხოლოდ რამდენიმე მოქალაქეს: კერძოდ, ვ. კალანდაძეს, დ. გელაშვილს და შ. ბარბაქაძეს. ისინი ჩემთვის უბრალო საბჭოს წევრები არიან და არა მუშები და გლეხები.

ნიანგკორი: (იღიმება): თქვენზე „ქება“ მოდის: გვატყობინებენ, რომ სკოლასთან და მასწავლებლებთან „სერიოზული“ და „საქმიანი“ დამოკიდებულება გქონიათ.

ჯაში: ეგ მართალია, მაგრამ რა გამოდის: რაიონის განათლების განყოფილება დახმარების ნაცვლად ხელს მიშლის ამ საქმეში. ამას წინად ზოგმა მოშიარა და ბიოტელად მოგხსენი რომდენიმე მასწავლებელი, მაგრამ განათლების განყოფილებამ ისევ ადადგინა.

ნიანგკორი: რამდენი იზარალებული თქვენით თაოსნობით ძირულის ქარხნიდან დაითხოვეს მემანქანე გაჩეჩილავ?

ჯაში: მე კაპიცი არ დამოკარგავს; მხოლოდ მისი გამართლებების და ადვოკატის შემდეგ ქარხანამ იზარალა 1200 მანეთი.

ნიანგკორი: თქვენს თემში განსაკუთრებული კანონი ხომ არ არსებობს დინამიტით თევზებზე ნადირობის შესახებ?


ჯაში: არა, აკრძალულია.

ნიანგკორი: მაშ რატომ ელტვით მით ასე უმოწყალოდ?

ჯაში: (დაბნულად) რა ვუვლით; ბუნება მოიხიბა... მარქსს საერთოდ არაფერი არა აქვს დაწერილი ბუნების სოციალულის წინააღმდეგ.

ნიანგკორი: ბუნების რა მოგახსენო და ეს თქვენთან ზაუბარო კი საკმაო მასალაა თქვენს წინააღმდეგ. საერთოდ ძირულის ცხელი დარბები დამდგარა და... „ბაყრი“ უნდა გამოიცვალოთ.

ნახ. ღონის



როგორ არის „შეიარაღებულ“ ბათომი თავდაცვისათვის საჭაერო თავდასხმის დროს.

ოღეკოლონი

უცხო სიტყვათა ლექსიკონი ასეთ განმარტებას იძლევა: „ოღეკოლონი, ფრანგული სიტყვა: ო-წყალი, - კოლონი — ქ. კიოლონი, კიოლონის წყალი, თავისებური სახის სურნელოვანი სითხე“.

დაე ამ განმარტების სისწორეზე ლინგვისტებმა ილაონ. ჩვენ ოღეკოლონის გენეოლოგია არ გვაინტერესებს, მთავარია განმარტება. ვფიქრობთ, რომ სწორედ განმარტება არ არის მოცემული სრულად.

რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ამბავი ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. მოგვყავს დოკუმენტი.

„ამხ. მ. ლ. ასული მ—ე იყო შემოწმებული 27-7 — 33 წ. ფსიქონევროლოგიურ ინსტიტუტის ექამთა კონფერენციაზე და აღმოჩნდა, რომ ხსენებული პირი არის თანდაყოლილი ჭკუასუსტობით შეპყრობილი. თავის ფსიხიკით უახლოვდება 5 — 6 წლის ბავშვს. ამავე დროს არის ყრუ — მუნჯი.“

- კომისიის წევრები: 1. ნაკაშიძე, ექიმები. 2 ბ. ყიფიანი 3. გ. იაშვილი

ჩვენ დაგვჩენია დაუმატოთ ექიმთა დასკვნას, რომ ყრუ — მუნჯი

მე, რომელიც „თავის ფსიხიკით უახლოვდება 5 — 6 წლის ბავშვს“, 32 წლის ქალია.

რა განწყობილებას იწვევს თავისადმი ასეთი დეფექტიური ადამიანი ყოველ ნორმალურ და ოდნავ შეგნებულ კაცში? პასუხი გარკვეულია: სიბრაღულის გრძობას, სინანულს.

32 წლის ქალი, 5 — წლოვან ბავშვის ყოფაქცევის, ყრუ — მუნჯი. ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ლაფსუს ნატურა, ცხოვრების პარადოქსი.

მაგრამ ამ აზრს დაჟინებით არ იზიარებს ვენე ნესტორის ძე ცაგარეიშვილი, გორა — ჯიხაიშას მცხოვრები, პროფესიით ყოფილი მასწავლებელი და შემდეგ რაღაც მანქანებით ხონის სარაიონო გაზეთის პასუხისმგებელ მდივანად მოვლინებული. სულ ერთი თვე დაჰყო ამ საპატიო და მეტად საბასუსხს-მგებლო ადგილზე ცაგარეიშვილმა და ამ ერთ თვეში საშუალებილად უკვდავყო თავისი სახელი.

ცაგარეიშვილმა ქ. ხონში თავის გულის სწორად, გარდა ყრუ — მუნჯ მ-ის, — ქუუანაკლებ ქალისა,

ვერავინ ნახა. მიზანი თავიდანვე გარკვეული დაისახა. მიზანი მეტად არასაკადრისი. სამზადისსაც ენერგიულად და სისტემატიურად აწარმოებდა. წინასწარ სპეციალურად

პანტომიმებით ლაპარაკში ვარჯიშობდა, რომ მუნჯთან საერთო ენა გამოეწახა. თან შვების ვარდი ჯილდო — საჩუქრებით აღაქსო. რით შეიძლება მოიგო 5 — 6 წლის ბავშვის გული? ჭრელა — ჭრულა სათამაშოები, ტკბილეული, სავარცხელი და ოღეკოლონი. ოღეკოლონიც უსათუოდ... ვენე ცაგარეიშვილი დიდი ესტეტი კაცია.

და ერთ დღეს, როცა ჩვენმა ხონელმა — რაინდმა — ნიადავი საგნებით მომზადებულად სცნო, გადასწყვიტა საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება. 32 წლის მ-ის ქალი ჩვეულებისამებრ გონებრივად მის ტოლ ბატარა გოგონებში თამარ და ეთერ მებუტეებთან იყო. ვენე ცაგარეიშვილი მეტი გამბედაობისათვის ცოტა ღვინით „ეკურთხა“, შემდეგ შეზარხოშებულმა ჩაუარა ბავშვებს, გადახვია ხელი ყრუ — მუნჯს და ძალით გაიტაცა — სახლისაკენ.

იყო იმედი, რომ მუნჯი, და ისიც

ნან. დანი.



— გიბანდი, მოქალაქევ, მე დღეს არავის არ ვიღებ! — რაო? აპარატის მუშაობის შესასწავლადო?.. მო ბრძანდით, დაბრძანდით!

ბავშური გონების პატრონი, ბოროტებას ფარდას ვერ ახდის, მაგრამ მეორე დღეს დილა აღრიან რედაქციის პასუხისმგებელ მდივნის ღამის გამირობა ხონის თვითუღმა დედაკაცმა იცოდა. ენის საფხანი მასალა დიდებული მიეცა ზაფხულის სიცხით გასავათებულ, უსაქმო ობივტორებს. გაქონდათ და გამოქონით გაზეთის სახელი, რომელიც ასე შელანძლა რედაქციაში ახლად მოველნილ, სრულიად შემთხვევით, ზნედაცემულმა პირმა. საქმეში ფიცხოვ ჩაერია ადგილობრივი ორგანოები. მოძალადე პასუხისმგებელში მისცეს. დაინიშნა საჯარო გასამართლებაც. ხონელი ოინდი წარსდვა სასჯავროს წინაშე წარმუხურელად. ცოდვების მონანიების ნაცვლად შეტევაზე გადავიდა.

მისი განმარტება დაახლოებით ასეთია: დღიური შრომით დაქანცული რედაქციის მდივანი სახლში ხომ უნდა მისულიყო: მერე ის ხომ მივიდა სახლში. რასაკვირველია, ის სახლში მივიდა. შემდეგ სახლის კარებიან მას ყრუ-მუნჯი მ— ხომ უნდა დახვედროდა. თქმა არ უნდა, უნდა დახვედროდა. და ის დახვდა კიდევ. ზაფხულის სიცხით ხახავამხმარ მდივანს, თუმცა ის მეთულზე არ არის, მაგრამ ერთი ლიტრა წყალი

ხომ უნდა მოეტანა. აბა, რა საკადრისია ამის კითხვა, — უნდა მოეტანა და გამოვიდა კიდევ გარეთ მოსატანად. ამასობაში მას ოთახში ხომ უნდა შევარდნოდა ძალით კარებთან მდგარი ყრუ - მუნჯი მ-ის ქალი. უნდა შევარდნოდა. ხომ და შეუვარდა კიდევ.

ასე გახდა ძალადობის მსხვერპლი საცოდავი მდივანი, ახე მოულოდნელად გააუბატიურა და წახდინა 27 წლის ყმაწვილი კაცი ჰკუთამოლე ყრუ - მუნჯ ქალმა. (?)

ასამართლო იმდენად უღმ აბეორ ღომონდა, რომ მდივნის ამ გულწრფელობას ანგარიში არ გაუწია. სასამართლომ ცაგარეიშვილს ორაწლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. პატიმარი ქუთაისის გამასწორებელ სახლში გაგზავნეს. სამარცხენო საქმის ჩამდნეს ულაზათო ფანდებმა არ უშველა. ამან ერთგვარი საყოველთაო კმაყოფილება გამოიწვია, თუმცა სასჯელი ბევრს ღმობიერად მიაჩნდა.

ეს იყო 8 აგვისტოს. 12 აგვისტოა კი ვენე ცაგარეიშვილი ქუთაისის გამასწორებელი სახლის ნაცვლად ხონის მეზობლად სოფელ ივანდიღში გახურებულ ქეიფში იყო. თურმე ნუ იტყვიო, ქუთაისის გამასწორებელ სახლს ლიმიტი არ აღმოაჩნდა პატი-

მარისათვის, რომელმაც ასეთი დიდი ანტისაზოგადოებრივი დანაშაული ჩაიდინა.

ეხლა თქვენ ხონელს ნუ ეხუმრებთ. ეხლა ის უზენებეს ყველას მაკოს დედას! საკასაციო საჩივარი შეტანილია. ყრუ - მუნჯის მიერ უდროოდ გაუბატიურებული მდივანი სამართალს ეძებს. ქუთაისის გამასწორებელი სახლი კი კმაყოფილია. ლიმიტი დაიცვა. თავის საქმე შეასრულა. რა ახსოვს მას რამდენი პატიმარი უკან გაისტუმრა ასეთი მიზეზით. რა იცის მან სად წავიდა ვილაც ცაგარეიშვილი, რომელიც თავისუფლად დანავადობს და ამით უარეს ზიანს აყინებს საბჭოთა სასამართლოს სახელს, რაიონის გაზეთის შეუბლაღავ ავტორიტეტს.

ჩვენ აქ წერტილს ვუსვამთ და ისევ უცხო სიტყვათა ლექსიკონს ვუბრუნდებით. ოდგოლონი მართო ფრანგული სიტყვა არაა. ხონური ტრანსკრიპციით ის ასე უნდა განიმარტოს: კიოლმისწყალი, თავისებური სახის სურნელოვანი სითხე და უებარი საშუალება ყრუ - მუნჯთა გაუბატიურებისათვის.

გნახოთ რას იტყვიან ჩვენი ენათმცოდნეები.

დახურულ მანქანაში

— მე ვიყო უკანასკნელი ქალი, თუ მაგი კულდაზიკა დედაკაცი გავატარო რიგს გარეშე.— ელპიტომ დაიშალა, გააფრთხილა მის უკან მდგომი მანდილოსანი რიგი არ დაეკარგა მისთვის და წინ გადაუდგა ლილის.

— მოითმინეთ, ქალბატონო! რომ გავიდვით თაგი და მიდხართ, ჩვენ აქ შენზე ნაკლები ხალხი ვართ, რომ ველოდებით ჩვენს ვერს?

— კი!— ზედაც არ შეხებდა ლილიმ ელპიტის და გადადგა ნაბიჯი განზე, ელპიტის ისევ წინ ატრიალა. ლილიმ გაუკეთა „სურდოლი“ და წინა რიგებში ამოყო თაგი, მაგრამ ის ვერ შენიშნა, რომ ლილის „ჩარლსტონის“ კუდი უკვე მაგრად ხელთ იგდო ელპიტომ.

— დღის შენის შვილი ხარ და ნუ გამობრუნდები უკან!— გადაუბრიალა თვალები ელპიტომ.

რიგის გარეშე უნდა მივიღო.
— ვინცა ხარ, მეც კარგად ვიცი, და დეკი და შენი რიგი დაიკავე, თორემ რომ ვადმოგებრუნებ სიგარმეს ვანდ მოგიქცევ.

— ქალო, მას უფლება აქვს ურიგოდ იაროს, — განუმარტა ელპიტის წინა რიგებში მდგომმა ქალმა.

— ურიგოდ და უწესოდ მე დადის, მარა შენ ვისი მატრაკეცი ხარ, რომ წამოგბრუნავს თავზე ჩიჩილაკივით ქუდი. შენ გამოდი უკან. ეხლავე, თორემ ძალით გამოგივან.

— პაღუმაეში! — ძალით გამომიყვანს! შენ იცი მე ვინა ვარ?
ეხლავე ჩამოდექი უკან, თორემ ვიი შენი ბრალი!

— ვინ შემოუშვა ეს ჩვენს დახურულში? — ჩილიაპარაკა „ჩიჩილაკიანმა“ ქალმა.

— შენ ვინ შემოგაშვა თვითონ? როგორ! მე შენზე ნაკლები ქალი ვარ, შენს ქმარზე ნაკლები ქმარი მყავს — თუ რაშია საქმე?

— ჩემს ქმარს შენისთანა ქალები 50 შუავს რეგისტრატორად.

— თუ! ჩემი ქმარი შენისთანა დაკრასკულ — პრანქებს არც შეუშვებს სამსახურში, — მიუღო ელპიტომ და მაგრად გასწია ლილის „ჩარლსტონის“ კუდი. კი, მიდხარ ნებით, თუ შემოგადღლიზო ეს ფარშავანგის კუდივით გაფრთხილებული კმა!

— ხელი გაუშვი, თორემ დაეპყრებ შენს თავს! — გაცხარდა ლილი.

— ვის დაეპყრებ, შენ გაცვეთილი და... გასაროზგავი შენ ხარ თვითონ. მიჩვენე ერთი შენი „ნული“ გაცხინჯოთ! ლილიმ მხრები აიჩინა. კოტ სტერვა! — მე რამდენი გიყი დედაკაცი დაეფრევა, ყველას თუ ჩემი მოწმობა ვუჩვენე — მერტ არაფერი უნდა ვაკეთო.


— გიყი ხარ და ერთხელ მეტი, — გაცხარდა ელპიტე და ერთი ისე მაგრად დასწია ლილის კანის კუდი, რომ ლილის წელზე გადაეჭრა სარტყელმა ირიბული მდგომარეობა მიიღო.

საკვირო გახდა გამზავებლების ჩარევა. ლილი აიძულეს ამოედო ის ბარათი, რომელიც მას უფლებას აძლევდა ურიგოდ მიეღო საქონელი დახურულში.

ლილის ხელთ აღმოჩნდა უბრალო სასიყვარულო ბარათი, რომელშიაც სიტყვა-სიტყვით ასე ეწერა: „გაკონი, გეკვრები, ჩემო ნიკოშვა, ეს ჩემი მეგობარი ქალი ხელდაამშვენებელი გამოუშვი. ჩვენი „ოჯახის“ წევრია. — მზია“.

რასაკვირველია, ამ წერილს ლილი აბანუნდა. რედიკულში ნახევრად ამოაყოფინა თაგი, ვითომ არ კადრულობს ელპიტისათვის თაგის გაყადრებასო, მაგრამ ელპიტე შურდულივით ეტაკა რედიკულს, ამოადრიალა ქალადი და საჯაროდ წაიკითხა **სამხირ-გენ-შეის.**

„იპონდას განზრახვა აქვს ხელთ იგდოს ათამდე ახალი კუნძული“.
(გაზეთებდან).



„ძია ჩვენი“ იმდენს ყლაპავს, ძია ხახახ ისე აღებს,

რომ მოშლილი „კორპუსიდან“, რაც ჩაყლაპა, წამოაღებს.

ქურდი კოოპერატორი

სახ. უნივერსიტეტის დახ. განმანათლებელი

მარგალიტა ოსკანოვი, ოსკანოვი მარგალიტა მოგვევლინა ქურდობის და მტაცებლობის მაგალითად. ის სახუნტის დახურულში შეცოცდა და მოკალათდა, მოთიბლა საკბილოთი „ბრალი ბროლდა, სათი სათდა“.

შევარცხინე შენი ქცევა სისხლისღერად რომ აშუქურდი, მარგო ქალო, ოსკანოვი საქონელის გახრდი ქურდი! მოიპარე პამიდორი, კარტოფილი აწყვი ხვავად, ვაშა „გოგრას“ დახურულში, დაგაყენა ვინაც „ზავად“.

ნუთუ ისიც არ კმარა, გაცნობოდი ყველას ქურდათ, რომ მიგქონდა ჯიბისაკენ მომხმარებლის ფული ხურდა?

„ზავად“ ვინლა დაგაყენა ვინ მოგანდო კრავი მეელსა, ან დახლი ვინ ჩაგაბარა, ვისა ბან და ვინ გბანს ხელსა? იამაყე „მიღწევებით“ გაიხარე, აშუქურდი მე კი ჩანვალს თავში მას ვცემ ვინც შენ დაგსეა მცველად — ქურდი შენთვის „ლიჩნად“.

ესეც კმარა რომ „გაკურთხე იახშით“ მხოლოდ მითხარ, გამაცანი, რომელია შენი რაში? ან ნაქურდალ საწოვავეს (გამომიტყდი რაც გაქვს გულში) რა აღგილას ინახავდი; — უბეში თუ რედიკულში?

სიხიბო



ამა, მეთ-პოპულარი

...და იყო ავარაკი იგი, მნიშვნელობისა საკაცშიროისა, და იყო შიგან ტერიტორიისა მისსა ზღუდის პონტოსისა, და მუნ ბანოვანთა თანა. ბანაობდენ ლომნი ზღუისანი, გაწეოთნილნი ხელითა მით დუროვისათა..."

ექნებ ასე დასწეროს მომავალმა მემატეანემ, როდესაც ჩვენი საკუთარი მშენებლობის ისტორიაზე მიდგება საქმე.

მაგრამ, ჰოი პატივცემულო გვამო (ამხანაგ მემატეანისავე)! თქვენ გაეიწყუდებათ ზოგიერთი ხიუნანები, რაც წელს მაინც ახლავს ქობულეთს. თქვენ რომ 1933 წლის ზფულში კეთილდღეობებით და მოგენ ღომებით ბინის მოგნა ქობულეთის აგარაკზე, აშკარად ხანამშრალი დარჩებოდით...

პირადათ მე, თუ კი მატეანეში შემიტანთ, შეგიძლიათ ჩამრიცხოთ იმ ბედნიერთა სიაში, რომელთაც ყოველგვარი პროტექციების გარეშე მიიღეს ბინა (ვენაცვალე ჩვენს მამა გერასიმე ბროკიშვილს). საქმე ასე იყო: მე მოვახსენე პატივცემულ გერასიმეს, რომ მართალია, არც ერთი დიდი კაცის პროტექცია არა მაქვს, არცა მაქვს რომელიმე ტრესტის მმართველის მოწმობა, მაგრამ სანავეერთო მაქვს უაღრესად დიდი სურვილი მივიღო ბინა...

თქვენ წაროდგინეთ ამხ. მემატეანე, მოხდა ის, რასაც ალბათ არც თქვენ მოელოდით: ამხ. ბროკიშვილმა მე მიშოვა ოთახი, ისიც ზღვის პირას, ისიც სუფთა, ისიც კარგ ადგილას!

— ჰმ, შეუძლებელია! — ამბობთ თქვენ?

მოგახსენებთ სრულ ქეშმარიტებას და გეტყვი, რომ წინააღმდეგ მთელი რიგი მუშაკებისა, ამხ. ბროკიშვილს ჩვეულებათ ქონია საქმის გაკეთება პროტექციის გარეშე. კიდევ მეტიც: საპროტექციო წერილები მასზე ისე მოქმედობს, როგორც ქობულეთში ნაყიდი რძე (გულის რევა).

დიახ. ასე მიგვიღო ჩვენ საკურორტო სამმართველო ამხ. ბროკიშვილის სახით. მაგრამ დანარჩენი მას პინძლების კი რა მოგახსენოთ: ფრიად ახირებული ხალხი ყოფილა:

კოოპერატივის მუშაკები, მავალითად, იჩენენ გადაჭარბებულ სტუმართმოყვარეობას და მოაგარაკეს იშვიათი კოოპენტუზიანით აძალებენ ღვინოს, კონიაკს, არაყს და სხვა სასმელებს.

სამაგიეროთ, კურორტმომარაგე-

ბის მალაზიათა მუშაკები უფრო შორს მიდიან და გაბრუებენ ბენედიქტინებით, კაკაო—შუებით (მართლა კაკაო არ გვეგნოთ, ალკაგოლია), „სპოტიკაჩებით“, მადერებით, ნერესებითა და სხვა ასეთი პროდუქტებით.

თქვენ, ამხ. მემატეანე, ტყუილად გამოიჩინდით მეშინობას, რომ 1933 წლის სეზონში აქაური კოოპერატორებისა და მომმარაგებლებისათვის მოგეთხოვნათ ისეთი ობიექტული საგნები, როგორცაა ყველი, რძე, კვერცხი, კარტოფილი, ხახვი, მწვანელი და ბოსტნეული... რა გულუბრყვილო ბრძანებულხართ ამხ.მემატეანე; ხახვზე არ გეტყობათ!

დანარჩენი მასპინძლებისაგან აღსანიშნავია ფოსტის მუშაკები. ისინი ისე უფრობილდებიან მოაგარაკეებს, რომ მთელი კვირაობით უშალა

ვენ მოსულ წერილებს: ხომ იცით წერილი ალექსებს კაცს, ვაჟს უსუსტებს. ისინი აჩერებენ სხვა გადასაცემებსაც: მავალითად, 12 აგვისტოს დეპეშით გადაგზავნილი ფული მოაგარაკემ მიიღო 22-ში, ე. ი. ათი დღის შემდეგ. მართალია, ათ დღეში ტფილისიდან ქობულეთში ურემიც კი ჩავიდოდა, მაგრამ სად ხარ-კამჩის ტემპერამენტი, სად ჩვენი ფოსტისა და განსაკუთრებით ტელეგრაფის!

ასეთი იყო, მოქალაქე მემატეანე. ქობულეთის საერთო პანორამა 1933 წლის სეზონში ე. წ. უორგანიზო (და არა უორგანიზმო), მოაგარაკისათვის

და როცა მატეანეს დასწერო, ქობულეთის კოოპერატივების ბენედიქტინოვან — „სპოტიკაჩოვან“ თაბოებს ნუ დაივიწყებთ.

ალბარ-ალბარსან.



— რატომ გვითხრა დეიდა „თა სახელგამი არ ახსენოთ, იმის ნაცვლად თა ენუქა დაუძახნოთ?!“
— იგიტომ, შვილო, რამ სახელგამს დაპირებული სახელმძღვანელოები არც შარშანწინ გამოუცია, არც შარშან და მისი წრევანდელი დაპირებაც ალბად თა ენუქას ანდერძი გამოვა.



პრახიანის რაისაბჭო
 სამოსწავლო წლის დასაწყისს
 ტემპით შეხვდა, რადგან დროზე
 ის შეუდგა მის სამზადისს.
 ჯერ კლავ ძველი წელი იყო,
 რომ მოწიდა სილა, სრეში..
 რაიონში ბევრი სკოლა
 უყო სამწუხარო დღეში:
 ზოგს არ ქონდა სასურავი
 და ზოგს კიდევ—კარ-ფანჯარა,
 მაგრამ აი, რაისაბჭო
 დატრიალდა, როგორც ჯარა.
 და აგვისტოს მიწურულში
 ერთი სკოლაც კი არ დარჩა,
 არ შქაონდეს მკვიდრი ბინა
 და წინ კიდევ—კოხტა ბახჩა...
 და შორიდან რომ უყურებთ,
 მკერდში ტკბილად ტოკავს გული!
 ხეტქემბრიდან წინ წინ იშის
 უკვე ბავშოა ურიაშული...
 რა კი საბჭომ ჩაატარა
 უკვე ყველა სამზადისი
 ტემპით მიდის რაიონში
 ხასწავლო წლის დასაწყისი!

**

მაგრამ აი, ქინძიანის
 რაისაბჭოს თავმჯდომარე
 ისე შეხეტქერს წლის დასაწყისს,
 თითქოს იყვეს მგლოვიარე,
 ძველი წელი იღვიადა,
 სდუმდა ის და საბჭოც მისი,
 ზაფხულში სულ დაავიწყდა
 ხასწავლო წლის სამზადისი,
 და როდესაც ხეტქემბერმა
 სკოლის ზარი ჩამორეკა,
 ჩვენი საბჭოს თავმჯდომარეც
 სწორედ აი მაშინ შედრკა.
 შედრკა, მაგრამ მართო დრეკოთ
 ვინ აუფო სკოლას ბინა?
 დრომ გაუფრთხო ტკბილ სიზმარი,
 ზაფხულს ჩრდილში რომ იძინა...
 და ბიძინა თავმჯდომარეს,
 მხართუძოზე ვინც რომ იწვა,
 ხელკეტით თავს წამომდგარმა
 დრომ დაუსვა მწარე კითხვა.
 დრომ დაუსვა მწარე კითხვა
 და ეს კითხვაც დრომ გადახტრა:
 რაისაბჭოს თავმჯდომარეც
 ამ დროსთანვე ერთად გაჰქრა..
 სხვა მოვიდა საბჭოს თავი,
 მან სხვა ტემპიც მოიტანა,
 მაგრამ წელმა სამოსწავლომ
 ძველის ყოფნა ხომ იწინა..
 და ოქტომბრის რანდევამდე
 კაცს სწყდებოდა სევდით გული,
 არც ერთ სკოლით არ ისმოდა
 უმაწვილების ურიაშული...
 და ქინძიანს რაიონად
 პრახიანი თუმც არ ხვობდა,
 მაგრამ ახლა სწავლის ტემპით
 პრახიანი ამაყობდა!
 და თუმც იწვევს სოცშეგებრში
 მას მეორე თავის ქეპით,
 თავის ქეპას რაც მოყვება,
 ამას შემდეგ მოგოყვებით..

აზიანებდნენ, ძნელია პროფესიონალურ
 ორგანიზაციებში მუშაობა. ათასი სტადია-
 სევა საკითხები გადაგელობება წინ, ყვე-
 ლაზე მთავარი არის მუშათა მასებთან ახ-
 ლოს ნივთი. დაახლოებდნენ და მათი
 „წყოილანების“ შესწავლა, მაგრამ ვეც-
 დები გავაძაროლო თქვენი დავალება —
 ასეთი სიტყვებით დაამთავრა ნიკოლოზ
 ლუნივემა თავისი მოკლე, მაგრამ საშა-
 ბიანი მოხსენება, როდესაც მას აგარის
 საპაზანო-სატრაქტორო სადგურების მუშ-
 კომის თავმჯდომარეთ ირჩევდნენ.
 ლუნივემა მუშკომის მასლები, მაგიდა
 და ცენტრიდან მიღებული 6 თვი გაუხს-
 ნელი დირექტივები ჩაბზარა ხელწერილის
 ქვეშ და შეუდგა მუშაობას.
 ახლავარდა კაცია ლუნივეგი, მას უნდა
 ზედნეტი კვება, მით უმეტეს ცოლის თხო-
 ვა აპირებს. ამიტომ ის მუდამ ფიქრობდა
 იმაზე, თუ როგორ გამოინახა ეს საშუალება
 უშუბლზე თითი მიიღვა, ბევრი ფიქრი არ
 დასჭირვებია — პროფთანებს რეალიზა-
 ცია უნდაო—სთქვენ და დაიწყო—პირველ
 რიგში „განაღდა“, ე. ი. შეგნარაშენა
 პროფანარიცების 150 მანეთი. რად უნდა
 ტრაქტორისტებს კულტმოშახურება? დღე
 და ღამე მინდვრად მუშაობენ, კულტთან-
 ხებს კი რეალიზაცია სჭირდებოდა, ნიკო-
 ლოზი ახაც არ შეფერხდა და 160 მანეთი
 კულტთანხიდან მარჯვენა ჯიბეში გადა-
 ყუდა. ნიკოლოზს შემოსავალი აქვს, ახლა
 ერთი ცოლი თუ მოიგორა გვერდში, მო-
 რჩა საქმე, უკვე შეუდგება „ნორმალურ“
 ცხოვრებას. ასეც მოიქცა, ზღვა წვეთით
 დაიკალო—ნათქვამია და რა გასაკვირია,
 რომ პროფთანები გათავებულნიყო, ისიც
 აგარის სატრაქტორო სადგურში.
 ლუნივეს ცხოვრების სათუთი გზაც კო-
 ტა შეუდგინდა, მე რა მუშკომის თავმჯ-
 დომარე ვარ თუ მუშებს არ დაეცხზარე
 ობლიგაციის განაღდება საქმეში—სთქვა
 და მაიღვა მუშკომზე მუშების მიერ მიბა-
 რებულ პროცენტთან ანარიცხებს, აქრა
 კუპონები 45 მანეთის, ხელად გაანღდა—
 მარცხენა ჯიბისკენ.

ასეთი მუშაობით დაღლილ პროფმუშაკს
 ვამეორებთ გაძლიერებული კვება უნდო-
 და. რა ქნას ლუნივემა. მუშკომში თანხა
 კოტა მოდის, სხვადასხვა გზებით საჭირო,
 მის ბედზე გარდაიცვალა სადგურის მუშის
 ოჯახის წევრი. დატრიალდა ლუნივეგი. შე-
 აგროვა კუბოსათვის 50 მანეთი, კუბო 25
 მანეთად გააკეთებია, ანგარიში 50 მანეთის
 წამოაყვანა და 25 მანეთი მიცვალბულის
 შესანდობელში დხარჯა — მხოლოდ მარ-
 ტო მისი კომბინატორულ ყელის გასასვე-
 ლებლად.
 — როგორ მუშაობთ ამს. ლუნივეგი? —
 ეკითხებოდნენ მუშები.
 — რა ვქნა, გენაცვალე, პროფმუშაობა
 ხომ იცით როგორია, დღე და ღამე ოფლ-
 ში ვარ, მაგრამ კვლი მანც ვერ დაეჩინე
 საქმეს, ისე, ვფიქრობ ამ ორ დღეში მო-
 გათავო მუშაობა.
 ლუნივეგი რა პროფმუშაკია, თუ მან ვერ
 აითვისა კულტმუშაობის მალბლი ტექნიკა,
 ამიტომ ფოტო-აპარატის შესწავლას მიზ-
 ყო ხელი. მაგრამ სანამ მის მექანიზმს შეის-
 წავლიდა, ასე მოიქცა: მუშკომის ფოტო-
 აპარატს, რომელიც 800 მანეთი ღირდა,
 „წირვა“ გამოუყვანა, შეაყვანა აქტი ფოტო-
 აპარატის „დაკარგვანე“ სარევისო კო-
 მისის თავმჯდომარის მაგივრად მან მო-
 წერა ხელი აქტზე და საქმე გაიჩარხა; შე-
 მდეგ აქტზე რეზოლუცია დაადო—„აპა-
 რატი ჩიითვალოს დაკარგულად“.
 ეს მუშაობა ლუნივემა ჩაატარა სულ ერ-
 თი თვის გაშვებლობაში. აქედან ცხადია, თუ
 რამდენი შრომა დახარჯა, საჭირო იყო
 დასვენება. მოინდომა შეგებულებაში წასე-
 ლა, დააპირა. დასწერა განცხადება, ისევ
 დახია,—რის თავმჯდომარე ვარ, რომ ვის-
 მე ვკითხო ჩემი შეგებულება? გაიფიქრა
 მან და ერთ საღამოს დასტოვა აგარის სა-
 მანქანო-სატრაქტორო სადგური. მას შემ-
 დებ არავინ იცის, თუ სად ისვენებს
 „პროფმუშაკი—ლუნივეგი, ან როგორ მოუ-
 ხდა მას ჰაერის გამოცვლა.

ივანია.

ნახ. გ. ლომიძის



ბუქსირწე

— რატომ შიბით საათს ეგ მა მალა?
 — ბუქსირწე ყავს აყვანილი და ყოველ ალიონსზე ხეც კეასაღსახილი
 ხიერად მადვიძებს.

ვახირა.



მწარე ფიქრები

ოპორტი: — მე შენ გ'ცავდი, მაგრამ მე ვინღა დამიცავს ამ გაგანია წემნღის დროს?

კულაკის ნათქვამი

— ოცდაათი წელი შესრულდა, რაც ბოლშევიკებმა ჩემი მოსახლობი პროგრამა დამტკიცეს და ჩემი ქონების განადგურება დასწყვიტეს. მე კი რაც გულში გავაქეთე, ისიც კი დაზავიწყდა. ეს ბოლშევიკები 30 წლის ამბავს იხსენებენ. და დიდი პატივსაცემით იხსენიებენ და ამბობენ: აქედან საბირკველი ჩაეყარა ბოლშევიკურ პროგრამასო, პარტიის კარები დაიხსო ისეთ ხალხისათვის, ვინც ღირსი არ არის შიგ შემოავლისო. ერთი მეც მკითხონ. თითონ არ იყვენ ღირსი, რომ მე მაგათ პარტიაში შევსულიყავი. ბნელა? ამდენი ჩისტკა—ამდენი წმენდა არც ერთ პარტიაში არ იქნება. მე მენშევიკების პარტიამ თითონ მობართვა ბინაზე საწიგრო მანდატი. არც წმენდა, არც შერცხენა, არც კბილებში ოფლის გამოდენა ამ პარტიაში არავის უნახავს. მახლას, რა პარტია იქნა ვინ მოგსწრება ენლა ჩვენში მისთანა მმა-ბიჭურ პარტიას? მანდატი ჯიბეში, საწიგროზე არავინ ვახვეს კალთას, კრებზე დასწრებ. ათვის არავინ გავყენდა მხედველობაში და წერხმალ სპეკულიანტობის არავინ გიშლიდა. ახლა კი მაგათ ხელში ვარ პარტიიდან გამხისტეს და ძველი დოვლათიდანაც მხისტავენ:: ეს არის სამართალი? **ქნელ-ოდლი**

სადგ. ნაშანაპი

აქ სადგური მოგვაგონებს ღორის და თხების ბავას, ჩხუბიც ხშირად იმართება და გაისმის: „დაცხე მაგას!“ სამკითხველოს დაეუფლა ივანეს და ფარნას თხები, ორი თვეა ვერ ვინილეთ აქ ჩვენ შურნალ-გაზეთები.

დეპუტატი

უბედური შემთხვევა
ხილვისტავი. ადგილობრივი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ქეიფის დროს შოიწამლა. ექიმმა განკურნების მიზნით გამოუწერა „კახურუს ნარკოზემუს“ დღეში ხუთი ლიტრა, ავადმყოფი თავს უკეთ გრძნობს.
კორიწა.
იშვიათი შემთხვევა
ბათონი: დღეს ბათონში დავგვიანებით მოვიდა მხოლოდ 2 სამგზავრო მატარებელი, ამ იშვიათი შემთხვევის გამო ბათონის მუშა-მოსამსახურეებმა მოძრაობის დარგს გაუგზავნეს მისალისკაცი დეპეშა.
ცოდვილი.

ელექტრონის სადგური გვაქვს, არ გვინათებს, ეძინება, აღმასკომი რომ უყურებს ჩუმად გულში ეცინება:: აქ თეატრი ოფურგეთის იგივეი თავლა, კინო, გასართობად ანგლობაა თუ არ გინდა მოიწყინო... სადგურშია სასადილო ცხელი წყალი:—ბორში, სუბი, ზედმეტი და უსაჭმური ხშირად არის დახასკუბი. საწყობიც კი მოუწყვიათ ყოჩალ, ბიჭო, ბარაქალა, გაწიბდება,—ზღვა დადგება, შეიქნება თავის ფხანა... სისუფთავე, ჰიგიენა დაამყარეს მეტად კარგი, არე-მარე მონხულია ღორებისგან მონაქარგი...

ბრ. წითელაშვილი.

- გაიგე, კოლმეურნეებს რომ ჩაუბარებიათ?
- რა ჩაუბარებიათ?
- ვისთვის ჩაუბარებიათ?
- ბური ჩაუბარებიათ სახელომწიფოვსთვის.

ბორჯომი

ვას ტფილისო, შენ სჯობიხარ, ბორჯომს, გეფიცები. ცოტა ხანი აქ რომ დავრჩე სულ მთლად ვაფიფტკენები. მამასისხლად იყიდება აქ ბორჯომის წყალი... ოთხ აბაზალ, მანდ ბოთლი ღირს,—
აქ კი—ჭეჭა ცალი.
კაული.

ორი „გვირი“

რკინის ცოცხით!

„გზათა სამმართველოდან მივლინებულმა სპეციალისტებმა კონტინენტმა და ცავარეშივლმა უარი განაცხადეს ტფ. გარედ ხაზზედ მუშაობაზე“.

„მუშა“.

რკინის გზისა „სპეცები“. შეეჩვივნენ ქალაქსა, დაეძებენ კაბინეტს სავარძლიან ალაგსა.

დამავრელი მოლარე

„კასპის სადგურის მოლარე, მგზავრებისგან ხურდას ქაფავს“.
ყარ.
იქის ქალმა თავის ყადრი „შრომობს“, შრომას აფასებს, ბილეთისთვის მისულ მგზავრებს ქაფავს თეთრ-თეთრ აბაზებს. რად სჭირია კასპის სადგურს, აზნაირი „მასხურია“! დაყოვნება არას გარგებთ—ამოკარით. პანდური!



რუსული იუმორი

რადიო მძინარე




ღანარჯული ფულები
გავატანეთ მძინარეს:
ნეტავ ვინ გააღვიძებს
ამ რადიოს მძინარეს.



— მეორე რა მოგიტანოთ?
— ხაჩვრის წიგნი.

სტუმრები საერთო საცხოვრებელი.



რა სიბინძურეა! საწითკომისიამ რომ დაგდაჯარიმოს, იპო წლის სტიბენდია აუ გვეუფა!

შესაფერ პასპორტს მიიღებს

ალექსი ტიმანოვსკი. შარშან ჩა-
ნოვიდა უკრაინიდან.

— იქ ძალიან ცუდია, თქვენ სა-
მოთხეში ყოფილხართ. — გაიძახო-
და ის.

შართალია იქ „ძალიან ცუდია“
ნაგრამ აქაც ძალიან ცუდია შისთ-
ვის, ვისაც არ უნდა იმუშაოს.

ალექსი ტიმანოვსკი უბინაოდაა.
მაგრამ ამაზე არ შეწუხებულა. ერთ
თვეში უკვე გამართა პატარა ოთა-
ხი. ფიცრებს ღამ-ღამე ზიდავდა და
ყვალი ვერავინ აიღო, თუ საიდან
იღებდნენ მისთვის წყალობას და ვინ
ბეოტყდა კალთას — ალექსის ჯა-
ლაბობისთვის.

გამოზაფხულდა.

ალექსი ტიმანოვსკიმ დაიწყო მი-
წის დიდი ფართობის სწორება.

— რისთვის გინდათ ალექსეი ეს
მიწა? — ეკითხებოდნენ მეზობლები.

— სახლი უნდა აიგო.

— აგებულ სახლს რას უშვები?

— შვილი ჩემი ტუხნიკია, შწერს,
საპარტველოში უნდა წამოვიდეს სა-
ცხოვრებლად და მას უნდა ვა-
ჩუქო. ალექსი განაგრძობს მიწის
თხრას.

დამთავრდა მიწის თხრაც. გაიმა-
რთა ერთი კედელი, მეორე, მესამე,
მეოთხე — ალექსიმ 350 მანეთი
დღურგალს უწყალობა.

ხის მასალა, კოჭები, ფიცრები
თავზე საყრელი ჩნდება.

— საიდან. — კითხულობენ მე-
ზობლები — ეს სახურავი, სად ქო-
ნდა მაგას, ასეთებს ხომ კერძო პი-
რებს არ აძლევენ?...

— მოთმინებაა საჭირო, ყველა-
ფერს გავივებთ.

ალექსი დარაჯათ დგას „ზიბსის“
საერთო საცხოვრებელში. ეს საცხო-
ვრებელი ეხლა შენდება. ალექსიმ
მის დარაჯათ ყოფნის დროს იშოვა
მოხერხებული დრო.

ის დაფიქრდა და განაცხადა:

— ჩემზე ქურდი აქ არ მოვა.
მოდით ამ ფიცრებს ავზიდავ სახლში
და ისევ უკან ჩამოვალ. ასეც მოიქ-
ცა. სოციალისტურ ქონების დამც-
ველი დარაჯი — სახლში ეზიდებო
და ჩაბარებულ ქონებას.

ამ სახლს პატრონი დღესაც არ

ჰყავს მგონია და თუ ჰყავს, რომელი
მოწმობით მიიღო მან ქურდი ტიმა-
ნოვსკი? ამ ბოლო დროს ლენინაი-
საკონტროლო კომისია დააინტერე-
სა ამ სახლის ამბებმა და შეუდგა
კვლევადიებას. კომისიის წევრებს
ესთხოვ შემოიაროს იმერეთის ქუ-
ჩის შესახვევში და ჰკითხოს ალექსი
ტიმანოვსკის:

სად იყიდა მან სახლის მასალა და
სახურავი; რისთვის გამოასახლეს ის
რუსეთიდან და როგორ მიიღეს ის
სოციალისტური ქონების დარაჯად.
ამის შემდეგ ალბად ალექსი შესა-
ფერ პასპორტს „მიიღებს“.

ძნელ-ოღლი.

ნახ. გ. ისაევოს



უფინანსული

— ვა, რა ხლადფორთში ჩავარდი: ნეტავ ძველი დრო მაინც იყოს,
რომ ეს პასპორტი ძველი პატენტივით უჩაგრედით ვიყიდო!.. ახლა
ან ოჩერედში დგომით ვინ მომცემს? დღეს ტფილისიდან მდევნიან,
ხვალ კი ალბად სიღნაღიდანაც მი-მაბრძანებენ...

ჩიტავივით

საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, თითქმის განათლ. სახალხო კომისიის რიგის პირდაპირ, გახსნილია კოვჯორის საბავშვო ახალშენის სარქველ-საშაქარლომოდ № 1, სადაც გასაყიდ სანოვაგებზე ჩიტებივით არის წამოსკუპული ასეთი წარწერები:

მალაქო პრინიკი
მასლა ჩურაქი
პეჩენია 24 მან.
პიროში

რატომ იწუხებს თავს სახელმძღვანელოების მომარაგებით კოვჯორის საბავშვო ახალშენი? გაამრავლოს ეს წარწერები და პირდაპირ ქართული ენის სახელმძღვანელოდ გამოდგება. ცხადია, უპირველეს ყოვლისა თვით მალაზიის თანამშრომლებისათვის. იგივე წარწერები შეგვიძლია გამოვიყენოთ აგრეთვე როგორც სპექულიაციის ანბანი.

თუ იციან!

ქუთაისში „საქვაპრობის“ ნებუთე მალაზიაში გაკრულია ასეთი ლოზუნგი:

პრეს პრესი ნეკა-კითხვის უსოღი-ნარი—
— ლიკაილახიის გარეშე!

ჩვენ ვეკითხებით ადგილკომ და მალაზიის თანამშრომლებს, იციან თუ არა მათ, რომ ეს ლოზუნგი უბი რველეს ყოვლისა მათ შეეხებათ?

აი, რა და ჩაირა ჩამორღი

იშვილის რეკორდს ამნაირს დაამყარებდა ვანა სხეა? წარმოდგენების მაგივრად აბონიმენტი გვანახა

ეს ამბავი შეეხება სტალინის მუშათა თეატრის დირექციას, რომელმაც 1933 წლის სეზონისთვის გამოუშვა აბონიმენტები და ფულები სალაროში ჩაიხრიალა. მაგრამ დასი და იშალა და აბონენტები უწარმოდგენოდ დარჩნენ. ამას ქვია ინიბაზობა, ან ისეთი საქმის გაკეთება, რაზედაც ჩვენში იტყვიან თამაშის გიჩვენებო. სასადილოში.



18 წლის ჭაბუკი იყო, როცა დახურულ სასადილოში სათილის საკმელად შევიდა, მაგრამ იქიდან „მცირე“ ლოდინის გამო ასეთი გამოვიდა.

თავდასხმა

ბორჯომის რაიონის პასუხისმგებელ მუშაკთა დახურულ განმანაწილებელ მალაზიის ნოქარმა ვასო დოლიძემ ნაცნობ მეგობრებს დაურია მალაზიაში მიღებული ჭუჭქელობა. ამის საპასუხოდ მომხმარებელმა ქალებმა ვასოს ჩხუბი აუტყუნეს.



ვასო ოქრობირის დაესხნ თავზე ქეთო და მარია, — თმები და წვერი აგლიჯეს. ცხვირში აღინეს ძმარია.

სოფ. ტაბაკინი

ზმსტაზონის რაიონი

ნეტავ ნიანგ, შენ განახვა. ეს სოფელი ტაბაკინი.

აქ საკბილო ნოქარი გყავს წინ დაგიდებთ „ტაბაკივით“

ეს ნოქარი — აღექსანდრე სოკრატინი — ყოლის ფართალს, ყილის, მაგრამ ვიზე ყილის, ვერ გაუგებ კაცი მართალს.

მხოლოდ თუ გსურს, რომ წაიღო შენ ფარფალი სახლში ბლომად კვერცხი, ბატი ინდაური უნდა მისცე გასაძლომად

მოდი, მოდი ნიანგოჯან, ინახლე ტაბაკინი, აქ საკბილო ნოქარი გყავს, წინ დაგიდებთ ტაბაკივით.

ლანჩხუთი

(რაიზაზაუში)

რაიზაზაუში მიდის უკან-უკან (სათქმელი თქმე: წინ რამ წისწიოს რამა?)

ლამის გადასახლონ, ვით მსუქანი ლტემა და შუღღვენ კიდეც სათითაოდ ჭამას. ინსტრუქტორად (ქამის) ბრძანდებოდა მარგო

(მხადე აღმოაჩნდა საკმაოზე დიდი) მართალია ჭამა ბოლოს არ შეარგეს მაინც გადაახსლა რაღაც ათას შეიდი). თუ რომ ჭამა არის ჭამა იყოს ბარემ ასე ვაიფიქრა ქალბატონმა ზინამ. ვინაც ცოტა სჭამოს იწოდების მღარედ და სალაროს ფული ჯიბისკენ იძვრინა. მაგრამ ერთ დღეს, როცა კახა შეამოწმეს (სწორედ ეს დღე იყო ზინასათვის თარსი) რათ უნდოდა ამას, რომელიმე მოწმე, რომ „გაბიბაქნა“ საბი ათან ასი.

რაიზაზაუში არ გქონია ბედი ვებღავე გაგიმეტეს სულ მთლად შესაქმე-

ლად, რადგანაც, რომ გამგემ აგიქცია გვერდი ნიანგის ბასრს კბილებს ვიგულვებ შე-

მეველად.

გ. მარტინა.

კატარა ჩატი

იყო ერთი კაცი
 უჩინარი, წყნარი.
 მუდამ დაკეტილი
 ჰქონდა სახლის კარი,
 მეზობლებიც კი მას
 ვერ იცნობდენ კარვად...
 და მობეზრდა მასაც
 ყოფნა ზედმეტ ბარვად.
 გადაწყვიტა: აწ მეც
 გავერევი ხალხში;
 ქმარა რაც ვიარე
 ტრაურში და თაღში.
 საიქიან თურმე
 ერთად მიდის ყველა.
 ჰქუა ჰქუა, ვინც დროზე
 ყელი ჩაისვლა.
 მეც მომბეზრდა მუდამ
 ასე ყოფნა მართო.
 თავისთავი თითონ
 უნდა მე გავართო.
 არა, ძმაო, აწი
 ასე აღარ ვარგა.
 იმას ვტირი რაც დრო
 დღემდე დამეკარგა.
 გავცნობი ყველას,
 გავერევი ხალხში;
 ფული და ქონება
 ჰე მაქვს ბლომად დახლნი.
 მეორე დღეს, მართლაც,
 ღზინი გაიმართა,
 და შეერთო ცოლად
 მან მეზობლის მართა.
 მოიწვია სტუმრად
 მეზობლები ყველა;
 გარეშებაც ბევრმა
 ყელი ჩაისვლა.
 ბევრი ვერ იცნობდა
 თავის მასპინძელსა,
 თუმცა სადღეგრძელოს
 ჰე ამბობდა გრძელსა.
 მას ჰქეიოდა—რაჯდენ,
 ეძახდენ კი—ლუკას
 და იდებდენ პირში
 გირვანქიან ლუკას.
 გაიბერენ ჰამით
 როგორც
 ავტოს შინა,
 გამოითვრენ, გაძდენ
 და წავიდენ შინა.
 მხიარული დარჩა
 ჩვენი მასპინძელი;
 საითაოდ ყველას
 ჩამოართვა ხელი.
 მეორე დღეს დალით
 იგი ადგა ადრე...
 აგერ დაინახა
 გუშინდელი სანდრე.
 აგერ კიდევ სხვები...
 —ო, სალამი თქვენა—
 მაგრამ საპასუხოდ
 არცინ დაძრა ენა.
 მიესალმა მაროს,
 კიდევ გაუცინა—
 მაგრამ მაროს უკვირს:
 —ეს ვინ არის, ვინა?
 იქით ეცა, აქეთ,
 სალამს
 და ცხვირსაზოცს უქნევს,
 როგორც დროშა-ალამს,
 მაგრამ მაინც უცხოდ
 მას უცქერის ყველა,
 ვინც მის ღზინში გუშინ
 ყელი ჩაისვლა.

ი. სელი.

ახალგაზრდა მხატვრები

ნახ. სოფიანისი




„უკანონოდ“ დაჩაბრული

— გამოცდები ფრიალებზე ჩა-
 ვაბარე, მაგრამ უნივერსიტეტში მა-
 ინც არ მიმიღეს!
 ნახ. რაჟმაქის



მემარჯვენე. მოდი და დაუჯერ-
 რე ეხლანდელ ლოზუნგებს: აქ ნათ-
 ლად სწერია: „იარეთ მარჯვენა“-ო,
 მე კი მარჯვენე სიარულისათვის
 პარტიიდან გამომაგდეს!..
 დარჩენილი მემეტლები.
 ნახ. ოთხოზორიასი



— ძია, გაგნებარდა სამგზავრო ავ-
 ტობუსის მოსვლა?
 — დამეკარგე, თორემ აგაფეთქებ!

ნახ. რაჟმაქის.




— ქალი: ეს კვამლის რგოლები
 ჯვრის წერის ბეჭედებსა გვანან, არა,
 პავლუშა?
 — დიად, მხოლოდ სამწუხაროდ
 იმ განსხვავებით, რომ არ შეიძლება
 მათი ტორგისინში წაღება.

ნახ. უორასი



შეშინებული.

— წავიდეთ ამაღამ სასეირნოდ!
 — ელექტრონი რომ ჩაქრეს და
 გზა ველარ გამოვივინოთ?
 ნახ. შ. ფაჩუაშვილის



— თქვენ ბრძანდებით საქონ-
 ლის ექიმი?
 — დიად, რა გტკივთ?



ფოცხვერია სარდიონი და საქმენი საგმირონი

(ვახაშვი, სამხრ. რაიონი)

მთელი ღამის ნაჭიფარში სარდიონ ფოცხვერია ბოლეს გაართვა ძილს თავი და ამწვიანებულ ყანას გადახედა. მის წინ გადაიშალა ტყე-ნახევარი სამშურად მოზიბინე ბურის ყანა. რის დანახვას სარდიონმა სიამოვნებით ჩაილიონა:

„გუბის წყალმა გადაიარა, გადიტანა ქვა-სილოა, სარდიონს რომ მიცავ-კულავს გენაცვალე ვასილოა.“
— ვასილო ვინ არის, მამა?— შეეკითხა შვილი.

— ვასილო ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარის სახელია, შვილო. მამა არ უზამს თავის შვილს, რაც მავ კაცს ჩვენზე ამაგი აქვს. ერთი მოხარო ჩემო ჭიკიკო, ვისი წყალობით შეგვჩა ჩვენ ეს სადაო მიწა? ვასილო წყალობით... ნამეტანი მხმელი ბიჭია მავ გურთხელის შვილი, რაც უნდა მთვარაო ნახო და რაც გინდა დიდი ჭიკა შეაძლია, მისგან ღვინის დაწუნება მაინც არ შეიძლება. ღვინოში ჩაიხვრნება, მაგონ შედღეულ ჭიქას მაინც გამოკლავს. ჩემი პურმარლით კისამდის მძღარია, ვისაც საქმის გაყეთება უნდა ჩვენს აღმასკომში, იმან პურმარლის დახარჯვა არ უნდა დაიწაროს. აი თუნდაც გუშინ, დღესუნ ერთი ხაჭაპური და ერთი ფუთი ღვინო რომ არ დაეხვდრებია, ამ პურის ყანაში დღეს კოლექტივის მუშები იქნებოდნენ. თურმე ვიდაცას უჩივლია—სარდიონს მიწები ბევრი აქვს, თითონ არ ამუშავებს, არამედ აზიარებს სხვებზე და ისე ცხოვრობს სხვისი შრომით, ამაზე დამიბარეს გუშინ,

ოქმიც შეადგინეს, რომ სარდიონს ჩამოერთვას ვაზიარებული პურის ყანა და გადაეცეს კოლმეურნეობასო, მაგრამ ის იყო სახლში წამოვიყვანე აღმასკომის და კოლმეურნეობის თავმჯდომარეები. ჩაის ჭიკებით ვსვით და ის იყო—ოქმიც დაცხიეთ. აბა რავა გგონია შენ, მე რომ შენოდენი მესწავლა მთელი სამტრედიის რაიონის მოსახლეობა ჩემს ხელში იქნებოდა, ახლა მართლ სოფ. ჭაგანის მცხოვრებია ჩემს კლანტებში. რაც მე მხელი საქმეები მომიქმედებია, ის რომ სხვას ჩაედინა, ახლა სულ გაფულდაკაცებულა იქნებოდა, მაგრამ მე, როგორც მხედვე, უფრო მეტ პატივის ცემაში ვარ. არივის ახსოვს მე ჩემს ცხოვრებაში სადმე სასოფლო გზა გამკეთებოდა, ხუთი წელია, რაც ჩვენ ჭიკართან გზა მომიზომეს გასაკეთებლად გამწვლელები იხრობა ტალახში, მარა მე ერთი კენჭიც არ დაეყარე, იცის ეს კარგად ვასილო, მარა ხელს მაფარებს.

— ეს ყველა კარგი, მამა ჩემო, მაგრამ პენსია როგორ დაიშტაციცე, როცა რჩინის გზაზე არც ერთა დღე არ ვიმუშავებია?— შეეკითხა შვილი.
— საქმეც მაგაშია, არ მიმუშავია და თვეში კი 50 მანეთს ვღებულობ. მოხერხება აველაფერი.
— კონტრაქტაციის წესით ბოსტანი გააკეთო, ძაბა-სო, რომ გვითარეს, რა ქერა?
— მოგვლია ერთი შენ. კონტრაქტაცია დაიბეჭდა შეასრულონ. ბიჭო რთი ვერ გაიგე, თუ ღმერთი გწყალობს ემშაქი რას დაგაკლებს. ხელისუფლებამ შეგნად კი არ უნდა ისარგებლოს რამე, არამედ უნდა ისა-

რგებლო მისგან. საერთო კრებაზე ვლახარა ებო ხელისუფლებას დახმარება უნდა შეეჭა და როცა კრება დაიშლება კი ჩუმად კოლექტივისაციის საწინააღმდეგო კამპანია ვიწვეო.

— მაშინ, 1930 წელში მთლიან კოლექტივისაციის დროს, შენ რომ დროშით მიხედავ გვინებს აივანდინ გადასახე „ძირს თქვენი კოლექტივისაცია, ძირს თქვენი მთავრობა“, არაფერი გითხრეს მაშინ?

— ზო, მართლა, მაშინ ცუდათ იყო ჩემი ნაქე, მარა ალექსანდრე მიშველა. საქმე ღვიოა და ქრთაში, სიხართლე კი უურმო-ქრილი ვირია ჩემ ცხოვრებაში, ერთი სი-მართლე არსად წამომცდარია, მარა ქე გავდივარ ფონს...

წადი ერთი ვაიქევი სახლში ნახავი და ხერხი მომიტანე, ეს თუთის ხეები მაქვს ძირში მოსაქრელი.

— მაშინ, რას ერჩი მაგ ჯანდონით სახე თუთის ხეებს?— შეეკითხა შვილი.

— რავა რას ვაქწი, არ იყო შენ რომ გუშინ კრებაზე გამოცხადეს თუთის ხეებს ხელი არ ახლოთო?— ჩამოეს ვინმე და ფოთოლს მოგვთხოვს აბრეშუმისთვის, არ მიწა ხელისუფლებამ ისარგებლოს რამე, აბა ნახე თუ ესეც ხახვივით არ შემრჩეს.

ერთი საათის შემდეგ ოცი ძირი ჯანდონით სახე თუთის ხე ძირში მოჭრილი იწვა მიწაზე და უქანასქნელად ეთხოვებო-ღე ჩამავალ მშის სხივებს.

ვახა,

რას მოვივა, დავითაო

თხა ვიყიდე—გაყვიდე,
სარგებელიც
გნახეო,
არ გამოვიან
არავინ,
არ დამივი.
მახეო.

ასე ღლინებს ზემო ხვედურეთის (სტალინისის რაიონის) სასოფ. საბჭოს თავმჯდომარე დავით კობაძე, რომელსაც თქვენ გგონიათ ბრალი მართლა თხის ყიდვა - გაყვიდაში ედება? არა. მან გაყიდა ის, რაც არც უყიდა და არც უნდა გაყვიდა. მან გაყიდა სკოლის შესაკეთებლად შექმნილი ხის მასალა და სამოსწავლო წლის დაწყებას ასე „ბრწყინვალედ“ მომზადებული შეხვდა. მანვე სხვა ცოდვებიც ბევრია და სწორეთ დავით კობაძისთან კიაზე უნდა იყოს ნათქვამი

რაც მოვიდა დავითაო,

ყველა შენი თავილოა.

ნიანგკორი კასპის რაიონში

კასპი

რას ჩამოვიწვია ბიჭო ცხვიოა, ცოლი ხომ არ მოგიკვდა?— შეეკითხა ერთი ნაცონობ ტენიის, რომელიც კასპის რაიონშია მოღვნილი ქართლ-კახ-იმერეთის გზის სა მუშაობაზე.

— ცოლი კი არა, აღარ ვიცი პირდაპირ რა ვქა... ეს მეათეჯერ მივედი კასპის აღმასკომის თავმჯდომარე კეკელიძესთან გზის სამუშაოებისათვის მუშა ხელის მომარაგების გამო და მან ასე მიპასუხა: „რა დროს იგ არის კაცო, სადა მცალია მაგისათვის? ესეც რომ არ იყვებს, დაწესებულება, რომელსაც პატრონი არა ყავს, მუშებს როგორ ვანდობ“—ო...
— არაფერია ამხანაგო, მდგომარეობას გამოვასწორებთ!— მიეშარეთ მე, სხვებლო წინაგაში ჩაიწვრე და გზას გაუღებო.

წითელქალაქი.

— თქვენ წითელქალაქის სამომხმარებლო კოთბერატისთვის გამგე—კირილე კალანდაძე ხართ, არა?
— დიხ, მერე რა გნებავო?
— თქვენზე ამბობენ, რომ რაოდენიმე ფუთი სიზანდი, ღორის ხორცი, ღვინო და სხვა გაგიქაფით და როგორ მოხდა, რომ დღესაც თავისუფლად დასვირობო?

მომხორცი თუ კაცი ხარ თავიდან, თუ ასე ილიან გაწუხებენ კოთბერატის ქონება, წამოდი და ერთი თორიდე ევარტს შენც ვადაგაქრეებო!— მომხარია მან, გზას გაუღდა და სიმღერა შემოსახა: „როგორც მინდა ისე ვქაფავ სიმინდს, ღორის ვიჩინათ, ნიანგკორი რას დამაკლებს ბებია, თუ კარგად მყავო“.

სასტამიხისი.

— ის ვინ არის ამ პაპანაქება სიცხვი ტრალ მინდორზედ, რომ დავულს უგლის?

— ეგ, ჩემო ძმაო, არტელის თავმჯდომარე—გულა ილურიძე, თუმცა გერ სახელმწიფოსათვის სობრულეული არ ჩაუბარებია, მაგრამ ქეიფის სტრევილა მოუხარა, პური ღვინოზე გადასცვალა და თავის ბრიგადით ქეიფობს.

— მერე მოსავალი რომ ახლები რჩება, პატრონობა არ უნდა?

— ხვალეც ამ დღის არისო, ასე ამბობს იგი და მეცი—რა მოგახსენით...

— ის ვინ უნდა იყვებს სახელოები რომ დაუტყალავებია და საჩუხრად იწვეს?

— ეგ კომკავშირის უჯრედის მდივანი—კოლა ხატისკაცია, ერთმა ამხანაგმა რაღაც წარმოსთქვა მავ ვიბრის ვენახის შენახებ, კულაქზე რომ აქვს ვაჭირაგებული და საპასუხოდ ცემით ემუქრება.—ყოჩაღ ბიჭო!

ლაშისხანა

— საქმელი რა გექვთ ამხანაგო?— შეეკითხა ლამისყანის სასადილოს გამგეს, სადილის დამმზადებელს, მიმტანს და მოლარეს—კოლა ამირუმოვს.

— ღვინის მეტი არაფერია.

— როგორ, თქვენ ხომ აჭრიალული გექვთ ღვინით ვაჭრობა და...

— მოგვლია რაღა, ღვინოც თუ არ გაყვიდე მაშ რაღაში მოვიგო ფული, რა საჩიროა შედმეტე ლაპარაკი, აიღე ჭიქა და...

სატანა,



ელვა

კურსების განხილვა

სკენი. განათლების მუშაკთა კავშირის თავმჯდომარის ისაკი ზულუიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა კარტის მოთამაშეთა გრძელვადიანი კურსები. კურსების მიზანია განსაკუთრებით პედაგოგების გადამზადება „აჩკოს“ თამაშობაში დახელოვნების მიზნით. ზულუიშვილმა შეჯიბრებაში გამოიწვია ზონის მეორე ასეთივე კურსების გამგე ვალერიან ქიათაძე.

ვანკა

ნიანგის ორდენით

მალბარის ტარი (ფშვეთი) მღაღაროს-კარის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე მიხეილაშვილმა ფასების პოლოტიკის დარღვევაში თავი დამკვირვლად გამოაცხადა. შიდალწია დიდ „წარმატებებს“, რისთვისაც ვადგენთ ნიანგის ორდენით დასაგვილოებლად.


ზა-ო.ლი.

პურმარხილი

ოზურბაშთი. სასტიკი ბრძოლის შემდეგ ძაღლების დამკვირვლი ბრიგადების მიერ აღუბულ იქნა ადგილობრივი სასადილო № 2. სასადილოს გამგე გამარჯვებულ ძაღლებს (მეტი რა გზა ქონდა!) პურმარხილით მიეგება.

განცხადება

იმინდანმა ოზურგეთის სასადილოს № 2 მუშაკები ხტხადებენ, რომ იყიდება მათ მიერ მოსადილებებისაგან გამძვრალი ტყაეები ბითუმად და ცალობით. ფასების გაგება შეიძლება ამავე სასადილოს თანამშრომელ ათანასესთან.



— შეიღო ვაქეცი, სანამ მეორე პლაკატს გავაკრავდე, 2 ცვარტი ღვინო და ერთი არაყი მომიტანე!

საქრებულო

პალიკოს (ხაზური) თქვენმა ლექსმა „გაფრენა მთვარეზე“ მისამართი შეიცვალა და გოდორში ჩაფრინდა

პილოტს (ვაგერი) მართლაც პილოტი უნდა იყოთ რომ თქვენი მუშა ასე შორს დაფრინავს:

მაკდონალდი, ჩემბერლენი
გვედავება ვალეზს,
მათ კრიზისი დაუყენებს
მოკლე ხანში თვალეზს
დაანებეთ თავი ჩემბერლენს. --
მოგვეყრეთ ამბები თქვენი კუთხის ცხოვრებიდან.

ორს (ქუთაისი) ორი კაცი ვმუშაობდით კომპერატივშიაო ახლა გამსახლში ვზივართ ურუანტელი გვფლის ტანშიაო.

ზიხაოთ და — იჯექით თქვენთვის. ოანე ამზეურებთ თქვენს უნიკობას? თქვენ გგონიათ საქონლის გატანასავით იოლი ხელობაა ლექსის წერა? მოისვენეთ მშვიდად მოქალაქენო. რაკი „გიმუშავიათ“ მოქანცულები იქნებით.

მოტორის (სტალინისი) მიგბამეთ თქვენს ფსევდონიმს და თქვენი ლექსი ჩვენც მოტორივით დავატრიალოთ, მაგრამ მინც არაფერი გამოვიდა.

განსოს (წყალტუბო) მოგვეყავს ნაწყვეტ თქვენი (და არა ილია ქაე-

ქეაძის) „მგზავრის წერილებიდან (თუ ლექსებიდან?)“

თუ ბიჭიარ ადექდა წყალტუბოში წადიო, ავტოს უნდა ლოდინი მთელი წელიწადიო გინდ უცადე, გინდ არა, ვერ დაიხსნი თავსაო ან მეეტლე გაგაძრობს ან შოფერი ტყავსაო. მაშ რა გგონია, ტყუილა ხომ არ უერიან, ქუთათური (და არა მარტო უთათური) შოფერები; შენ მეეტლე, მე შოფერი, ჩვენი არის ცხოვრებაო, ვინც მგზავრს ტყავი შეაჩინოს, არ მიეცეს ცხონიბაო.

ბავშვებს გაიგო

ამასწავლებლებლითა მომხარზებელს "ზოიერით რაიონში არაეითარ ყურად ლეზას არ აქევენ. ზოდგან აღგილი
მესხ ხელფასის დიდუმეებელ დავეია ნებსას". (გაზეთებიდან).

ნახ. ღონის



— ხედავ, ჩვენი აღმასკომის თავმჯდომარე ხელს რა — არა! იცოდა, მაგრამ დაავიწყდა, რადგან ექვსი
კონტად აწერს? აობად დიდი ნასწავლი უნდა იყოს. თვეა, რაც ჯამაგირობ ნუსხაზე ხელი არ მოუწერია.
ჩვენმა მასწავლებლებმა არ იცის მაგრე ხელისმოწერა.